სოფელ დვაბზუში ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა

ალიონი „აწარმოე საქართველოში“ - ამ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში ახალაგებული – შპს „ასკანგელ ალიანსის“ ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირკაშვილმა 19 ნოემბერს გახსნა.

საქვეყნო, მამულიშვილური, პატრიოტული საქმე - ასე შეაფასა გიორგი კვირიკაშვილმა გერმანული წარმოების, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საწარმო და ინვესტორ გოჩა ჩხაიძეს მადლობა გადაუხადა.

როგორც პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა თქვა, გურიაში ასეთი მნიშვნელოვანი საწარმოო პოტენციალის შექმნა გამოაცოცხლებს და ააგუგუნებს არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთელ საქართველოს:

„ეს არის ყველაზე თანამედროვე საწარმო, რომელიც ეკოლოგიის კუთხით უმაღლესი სტანდარტით - გერმანული ტექნოლოგიით არის აწყობილი. ძალიან მახარებს, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად ამ ქართულ საწარმოს ექნება ფილიალი გერმანიაში და აქ წარმოებული პროდუქცია ათასამდე დანიშნულებით გამოიყენება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე 130-მდე ოჯახი მიიღებს შემოსავალს ამ საწარმოს ამუშავების შედეგად, ხოლო შემდგომში, დასაქმებულთა რაოდენობა 300-მდე გაიზრდება. "აწარმოე საქართველოში" ძალიან წარმატებული პროგრამაა და ეს არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რა შეუძლია სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის სწორ თანამშრომლობას. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ჩვენი ქვეყნის შვილები, წარმატებული ადამიანები, რომლებმაც ძალიან ბევრი წარმატება ნახეს ქვეყნის გარეთ, უბრუნდებიან ჩვენს ქვეყანას და

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №48 (10189), 28 ნოემბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს! ძლევამოსილი წმინდა გიორგის მადლი ფარავდეს თითოეული თქვენგანის ოჯახს და სრულიად საქართველოს. გისურვებთ ქრისტესმიერ სიყვარულს, სიკეთეს და მშვიდობას!

პატივისცემით,

გურიის გუბერნატორი

გია სალუქვაძე

მორიგი გინესის რეკორდი ოზურგეთობაზე

გოდერძი მახარაძე: ეს რეკორდი ჩემი უახლოესი მეგობრის დათო ფირანიშვილის ხსოვნას მივუძღვენი

გვ-8

ქალაქი ოზურგეთი იუბილარია

გურულების სათავო ქალაქმა დაარსებიდან 170 წელი მიითვალა

ალიონი. წლევანდელი საიუბილეო თარიღი და ქალაქის ტრადიციული დღესასწაული ალეგრობა-ოზურგეთობა მუნიციპალიტეტის მერიამ ერთად აღნიშნა და თანაქალაქელებისთვის გრანდიოზული ზეიმი მოაწყო, რომელიც ოზურგეთელებისა და სტუმრების სიმრავლით გამოირჩეოდა.

დღესასწაულს ესწრებოდნენ გურიის მხარის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე, მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და სპეციალურად მოწვეული საპატიო სტუმრები როგორც დედაქალაქიდან, ისე ქვეყნის სხვადასვა რეგიონიდან.

წლეულს ქალაქმა ოზურგეთმა ალეგრობა მრავალფეროვანი ღონისძიებით აღნიშნა. ზეიმს განსაკუთრებული მუხტი შესძინა მოძრაობის თეატრმა, რომელმაც ქალაქის ქუჩებში საზეიმო მსვლელობა გამართა და მას მოქალაქეებიც შეუერთდნენ.

ქალაქის 170-წლიანი ისტორია სხვადასხვა თემატიკის გამოფენით და პერფორმანსით გაცოცხლდა. ჭადრების ბაღში გამოფენილი იყო უძველესი სამუზეუმო ექსპონატები, ეროვნული კოსტუმები, ფოტოები, ხალხური რეწვის, გურული კუთხის, გურული ვაზის ჯიშებისაგან დაწურული ღვინოების ნიმუშები, შემოდგომისთვის დამახასიათებელი კომპოზიციები.

გამოფენების პარალელურად ჭადრების ბაღში კონცერტი მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯუმბერ დუნდუას სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურია“, ქალაქის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები და ანსამბლი „ბათუმი“ აჭარის დედაქალაქიდან.

დღის მეორე ნახევარში სტუმრებმა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში გადაინაცვლეს, სადაც გურიის მხატვართა კავშირის 30 მხატვრის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

საღამოს კი ღონისძიების კულმინაცია, საპატიო ოზურგეთელის ტიტულის მინიჭების ცერემონიალი დაიწყო. წლეულს საპატიო ოზურგეთელ-

გვ-3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 2017 წლის ბიუჯეტს 10 მილიონ 241 ათასი ლარით იწყებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით, გასული კვირის ორშაბათს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა.

შეხვედრა ოზურგეთის მოსახლეობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების ჩართულობით მიმდინარეობდა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პროგრამულ ჭრილში წარმოდგენილ საფინანსო დოკუმენტის პარამეტრებსა და პრიორიტეტების მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებზე ინფორმაცია მიაწოდეს მოქალაქეებს.

პროექტის მიხედვით 10 მილ 241 ათას 600 ლარით განსაზღვრული ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურის მშენებლობას, განათლების ხელშეწყობას, კულტურის, სპორტის, ტურიზმის განვითარებასა და სოციალურ პროგრამებს მოხმარდება, ასევითვე თანმიმდევრობით გადანაწილდა მუნიციპალიტეტის მომავალი წლის პრიორიტეტები.

მუნიციპალიტეტი 2017 წელსაც აგრძლებეს თანხების მობილიზებას ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართულებით. გზების რეაბილიტაცია, დასუფთავება, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, კეთილმოწყობის სამუშაოებში ის ღონისძიებებია, რაშიც 3 მილიონზე მეტი თანხა დაიხარჯება.

სკოლამდელი განათლების მიმართულებით, რომელიც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, კვლავ გაგრძელდება ახალი ბაღების მშენებლობა, ბავშვებისთვის სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა. მუნიციპალიტეტი ყველა იმ სოციალურ პროგრამას განახორციელებს, რომლითაც მოქალაქეები დღემდე სარგებლობენ. მომავალ წელს **C** ჰეპატიტის დიაგნოსტიკა გახდება საყოველთაო, რაც 2016 წელს ოჯახის სარეიტინგო ქულების მიხედვით ფინანსდებოდა.

შეხვედრის მეორე ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. აქტიური იყო დარბაზი.

,,დღეს პირველად ვესწრები ბიუჯეტის განხილვას. მისასალმებელია, რომ დამალული არაფერი არ არის და პროცესი არის საჯარო. პრიორიტეტები სწორად იქნა შერჩეული, უბრალოდ კიდევ უკეთესია თუ მომავალში ბიუჯეტი უფრო გაიზრდება და მეტი თანხის მობილიზება მოხდება ოზურგეთის განვითარებისთვის“ - აღნიშნა სოფელ ბახვის მკვიდრმა გოჩა თვალავაძემ.

სოფელ ოზურგეთიდან შოთა ვაშალომიძე მიიჩნევს, რომ ,, ბიუჯეტი ეს ხალხის ფულია და თვითონ ადამინებმა უნდა განკარგონ, სად და რა პროექტების განხორცილებაში დაიხარჯება ის. ოზურგეთის მაგალითზე, მიმაჩნია რომ მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ვისურვებდი ხალხის ჩართულობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში კიდევ უფრო გაიზარდოს“.

საკრებულომ მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის განხილვის პროცესი დასრულა.

ბიუჯეტის პროექტი ურთიერთშენიშვნების რეჟიმში განიხილეს

ნუკრი ნიკოლაიშვილი

25 ნოემბერს გაიმართა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

საგაისო ბიუჯეტის პარამეტრების თაობაზე საგნობრივი შენიშვნები გამოთქვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლავრენტი ბიგვავამ.

აღინიშნა, რომ განსახილველი დოკუმენტი სრულ შესაბამისობაშია საბიუჯეტო კოდექსთან. ისიც ხაზგასმით ითქვა, რომ პროექტი, წინა წელთან შედარებით, ბევრად სრულყოფილადაა წარმოდგენილი.

ასევე მიუკერძოებლად აღინიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში სარეზერვო ფონდი ერთობ მკაცრადაა რეგლამენტირებული.

საგულისხმოა, რომ განსახილველ პროექტში თვალნათლივ შეინიშნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ოპტიმიზაცია.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე სხვა არსებითი ხასიათის შენიშვნებიც გაჟღერდა.

წინა ოთხ სხდომასა და ბიუროზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, ბიუჯეტის პროექტი მერიას უკან დაუბრუნდება.

ქალაქის მერი არასამთავრობოებს შეხვდა

დღეს ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრა ქალაქის მერის ინიციატივით შედგა და მიზნად ურთიერთთანამშრომლობას, ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებას და სამოქალაქო სექტორის მხრიდან რეკომენდაციების მიწოდებას ისახავდა.

საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ბეგლარ სიორიძემ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან დასმულ ყველა შეკითხვას არგუმენტირებულად უპასუხა და მათთვის საინტერესო საკითხები ამომწურავად განმარტა.

შეხვედრაზე საუბარი ქალაქის მერიის მიერ დაგეგმილ პროექტებს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივებს, ქალაქის გარეუბნებში ქუჩების რეაბილიტაციასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა.

შეხვედრის შედეგებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მერის ინიციატივა დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები სამომავლო თანამშრომლობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

28 ნოემბერს სს“ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის ტექნიკური სამსახურის მიერ 11:00 საათიდან 14:00 საათამდე გამოირთვება ქვესადგური „ლაითური“ -დან ფიდერები რიგრიგობით : 1, 2, 3, 4, 5, 6 ზეთიანი ამომართველის შეკეთების მიზნით, რის გამოც ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდებათ ოზურგეთის მომსახურეობის ცენტრის სოფელ ლაითურისა და ნარუჯას 1544 აბონენტს.

28 ნოემბერს სს“ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის ტექნიკური სამსახურის მიერ 11:00 საათიდან 14:00 საათამდე გამოირთვება გამანაწილებელი პუნქტი „წყალწმინდა“ 10 კვ შემყვანის უჯრედის გადახურვის სამუშაოების მიზნით, რის გამოც ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდებათ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მომსახურეობის ცენტრის 2350 აბონენტს(შრომა, წყალწმინდა, მშვიდობაური)..

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი თვიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“

ერთი წლით – 24 ლარი;
6 თვით – 12 ლარი;
3 თვით – 6 ლარი;
1 თვით – 2 ლარი

გურულების სათავო ქალაქმა დაარსებიდან 170 წელი მიითვალა

ებად ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მწერალი გიორგი კეკელიძე, მეცენატი გოჩა ჩხაიძე და მეორე სკოლის ყოფილი დირექტორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ლიანა იმედაშვილი დასახელდნენ, რომელთაც ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ საპატიო ოზურგეთელის სიგელები პირადად გადასცა.

ბეგი სიორიძე, ქალაქის მერი:

„მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენი ქალაქი ასე გრანდიოზულად აღნიშნავს 170 წლის იუბილესა და „ალეგრობას“. ორმაგად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით ამ დღესასწაულის აღდგენა და ალეგრობას უკვე მესამე წელია ვმართავთ. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა ყოველლიურად იზრდება და „ალეგრობა“ უფრო და უფრო მრავალფეროვანი და სანახაობრივად საინტერესო ხდება. ქალაქი ოზურგეთი მართლაც გამორჩეულია თავისი ისტორიით. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, როცა მომავალი თაობები ეცნობიან და არ ივიწყებენ მშობლიური ქალაქის წეს-ჩვეულებებს. კიდევ ერთხელ ვულოცავ ოზურგეთელებს დღევანდელ დღეს და თითოეულ სტუმარს მადლობას ვუხდი ჩამობრძანებისთვის “.

არჩილ თალაკვაძე, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი:

„ვულოცავ ჩემს ძვირფას ოზურგეთელებსა და ოზურგეთს ალეგრობას. ეს არის სიმბოლური დღე, როდესაც ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს და ვეუბნებით, თუ რა გაკეთდა ჩვენს ქალაქში და ერთმანეთს ღიმილს ვუცვლით. დღეს გალერეაში წარმოდგენილ ნამუშევრებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა გურულების მუდმივი დაპირისპირება ყოფიერებასთან, აზროვნებისა და კლიშეების კონფლიქტი. მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ ეს თვითმყოფადობა. ალეგრობა არის ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო

დღე, რომელიც, ამავდროულად, ძალიან ბევრ ადამიანს აერთიანებს.“

გია სალუქვაძე, გურიის მხარის გუბერნატორი:

„არაჩვეულებრივი დღეა. სასიხარულოა, რომ ალეგრობის ტრადიციები ასე ლამაზად ცოცხლდება ჩვენს ქალაქში. ქალაქი ოზურგეთი წლევანდელ ღონისძიებას ხვდება ისე, როგორც არასდროს. ჩვენი ქალაქი განახლებული და განსაკუთრებულად გალამაზებულია. ვულოცავ ოზურგეთელებსა და გურიის მხარის ყველა მაცხოვრებელს დღევანდელ დღეს.“

ღონისძიება ესტრადის ცნობილი მომღერლების ნოდიკო ტატაშვილის, სალომე ბაკურაძის, თიკა მახალდიანის და ნინი წიკლაურის გალა-კონცერტით გაგრძელდა, რომელიც გრანდიოზული ფიიერვერკით დასრულდა და „ალეგრობა-ოზურგეთობის“ დღესასწაული ოზურგეთელებსა და ქალაქის სტუმრებს მომავალ წლამდე დაემშვიდობა.

სოფელ დვაბზუში ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა

მისი აღმშენებლობის ფერხულში ერთვებიან", - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, გაცილებით ნაკლები საინვესტიციო ვალდებულების მიუხედავად, კომპანიამ 30 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა და საწარმოს გაფართოებას განაგრძობს.

საწარმოს მშენებლობა წლეულს ივნისში დაიწყო. კომპანია, ინვესტიციის 100 მილიონ ლარამდე გაზრდას და დასაქმებულთა რაოდენობის გაორმაგებას გეგმავს.

პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა აქ ასევე დღეს გახსნილი ჩოხატაურის ხელოვნების სახლის შესახებაც ისაუბრა:

„ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონების მოსახლეობას ჰქონდეს ყველა ის სიკეთე, რასაც ქვეყანა ქალაქებში აძლევს თავის მოსახლეობას. აუცილებელია, ბავშვებმა იარონ მუსიკის, მხატვრული კითხვის გაკვეთილებზე, შეისწავლონ საკუთარი კულტურა. აუცილებელია, ასეთი კერები იყოს რაიონებში, რათა აქედან წასული ოჯახები ზახულს თავიანთ მამა-პაპისეულ სახლებში ატარებდნენ, ისე, როგორც ადრე იყო. ჩვენი მთავრობის ნომერ პირველი ამოცანაა, სითბო დავუბრუნოთ ჩვენს მოსახლეობას, გავათბოთ ქვეყანა, ესაა ჩვენი მთავარი მოვალეობა, ჩვენ ეს დავკარგეთ და დღეს ყველაზე მეტად ეს გვაკლია. ეს დღევანდელი, მამულიშვილური, პატრიოტული საქმე არის უზარმაზარი ნაბიჯი ამ მიმართულებით. როდესაც ვხედავ ადამიანებს, რომლებმაც იციან, რომ სამსახური აქვთ, ოჯახებში შემოსავალი აქვთ, შვილები აქედან წასულ მშობლებს ელოდებიან საღამოს - და არა ხელცარიელს, როგორც ეს ადრე იყო“.

ოზურგეთის საპატიო მოქალაქეები

ქ. ოზურგეთში „ალეგრობის“ დღესასწაულის ბოლოს ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ ქ. ოზურგეთის საპატიო მოქალაქეების საპატიო წოდებების მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება გაახმოვანა. ქ. ოზურგეთის საპატიო მოქალაქეები არიან: ცნობილი პედაგოგი ლიანა იმედაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მწერალი გიორგი კეკელიძე და ცნობილი ბიზნესმენი გოჩა ჩხაიძე.

—მე ყველაფერს გავაკეთებ რომ ქართული სოფელი დაიცალოს, სამუშაო ადგილები შეექმნათ. უამრავი ბიზნესი იყო გურიაში, რომელიც უნდა აღდგეს, განვითარდეს-განაცხადა სამადლობელ სიტყვაში გოჩა ჩხაიძემ.

გიორგი კვირიკაშვილმა ჩოხატაურში ხელოვნების სასახლე გახსნა

ალიონი. საქართველოს პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა დაბა ჩოხატაურში ხელოვნების სასახლე საზეიმო ვითარებაში გახსნა.

2,5 მილიონამდე ლარის ღირებულების პროექტი, რომლის განხორციელება 2015 წელს დაიწყო, ძირითადად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

ახალი ხელოვნების სასახლე აღჭურვილია განათებისა და ხმის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების აპარატურით და სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

„ეს არის ძალიან დიდი შენაძენი ჩოხატაურის რაიონისთვის, მთლიანად გურიისთვის და საქართველოსთვის, რადგან ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია რაიონებში კულტურული ცხოვრების აღორძინება და განვითარება. აქ ბავშვები ივლიან, იქნება წარმოდგენები, შესაძლებელია კინოფილმების ჩვენებაც. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზაფხულის პერიოდში, აქედან წასული ოჯახები დაბრუნდნენ და იყოს სრული კულტურული ცხოვრება, ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ნახონ ფილმები, დაესწრონ წარმოდგენებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივებისთვის, რადგან შესაძლებელია, ბევრი წრე მოეწყოს, აქ იქნება ბავშვების განათლება კულტურის მიმართულებით. მინდა, ჩოხატაურელებს მივულოცო ეს დიდი შენაძენი", - თქვა კვირიკაშვილმა.

მშენებლობაზე სხვადასხვა პერიოდში 100-ზე მეტი ადგილობრივი იყო დასაქმებული. ხელოვნების სახლში მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრი და „კულტურის ცენტრი“ განთავსდება. 350 მაყურებელზე გათვლილი შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

ზამთრის კურორტად ბახმაროს ქცევა რეალური ხდება

ალიონი. ბოლო პერიოდში კურორტ ბახმაროს პერსპექტივებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებამ, რასაც სამთავრობო კომისიის შექმნა მოჰყვა, რომელსაც ვიცე-სპიკერი დიმიტრი ქუმსიშვილი ხელმძღვანელობს. შეიქმნა იმის რეალობის განცდა, რომ ბახმარო ზამთრის სამთო კურორტი იქნება და დამსვენებლებს, ექსტრემის მოყვარულებს მთელი წლით შეეძლებათ კურორტით სარგებლობა.

ამ წერილის დაწერა ბოლო დღეებში ფეისბუქგვერდზე გურიის ვიცე-გუბერნატორის და მისი მეგობრების ექტრემალურ პირობებში კურორტზე ასვლის ამსახველი ფოტომასალის გაცნობამ გადაგვაწყვეტინა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ გურიის სამთო კურორტების პოპულიზაციის მიზნით ორი ათეული წლის წინ მსგავს ასვლებს ახორციელებდა ტურისტულ-ალპინისტური კლუბები „გურიის მთები, „ქორბუდე“, რომელთა შემადგენლობის ძირითადი ბირთვს ადგილობრივი ჟურნალისტები შეადგენდნენ. სამწუხაროდ, იმ წლებში ბახმაროსა და გომისთისთვის ხელისუფლებას არც ეცალა და არც შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები იყო ქვეყანაში. ამჟამად სხვა რეალობაა და სახელმწიფომ დაიწყო გურიის სამთო კურორტების განვითარებისთვის ზრუნვა.

ახლა გურულ ექსტრემალებს მოვუსმინოთ.

რამდენიმე დღის წინ სოსო ერქომაიშვილი (გურიის ვიცე-გუბერნატორი), ბექა გამდლიშვილი („ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ჩოხატაურში) და ზვიად მამალაძე („ქართული ოცნების“ ფრაქციის ხელმძღვანელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში) კურორტ ბახმაროში ფეხით ავიდნენ. გზის სირთულისა და ზოგიერთ უბანზე ზვავსაშიშროების გამო, ისინი ღამითაც მოძრაობდნენ. კუროტზე ექსტრემალები ორ დღეს იყვნენ, შემდეგ კი ბარში დაეშვნენ.

„ბატონებო, ჩვენი მეორე დღის ექსპედიცია გრძელდება.

არ შემიძლია ის ემოცია არ გამოვხატო, რასაც ამ წუთებში ვგრძნობ, ეს არის განუმეორებელი ბუნება, სიმშვიდე, ჰაერი ზღვისა და მთის შენაკადით და უსაშველო ენერგია რომელიც გავსებს და გაძლიერებს, სტიმულს გაძლევს რათა გაიორმაგო შრომისუნარიანობა და სტიმული მომავალი ცხოვრებისთვის!

თქვენთვის ცნობილია, რომ ბახმარო საზაფხულო დასვენების, სათავგადასავლო, სანახაობრივი და ბალნეოლოგიური უნიკალური შესაძლებლობების კურორტია და ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან დიდი არა, მაგრამ, საკმაოდ კარგი კვლევებია ჩატარებული ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ხელისუფლების დროს.

ბახმაროზე საუბრობს გამოჩენილი მეცნიერები, როგორც მედიცინის დარგის, ისე, სამწერლობო სამეცნიერო კუთხით, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ თედო სახოკია, რომელიც ცდილობს თავის ნაშრომში დაწვრილებით აღწეროს ყველა ის სიკეთე, რომელიც ბახმაროს უკავშირდება და არა მარტო ის.

ბოლო პერიოდის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ბახმაროს აქვს პოტენციალი განვითარდეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, ექსტრემალური ტურიზმის განვითარების კუთხით.

რომ შევაჯამოთ, ბახმაროს ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია როგორც საზაფხულო, ისე ბალნეოლოგიური და ეხლა უკვე სამთო სათხილამურო კურორტად განვითარების.

მინდა მოგახსენოთ რომ ზამთრის კურორტზე საუბარი სათავეს იღებს სამოცდაათიანი წლებიდან, შემდეგ ოთხმოციანი წლებიდან დღემდე.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბახმაროს ზამთრის კურორტად განვითარებას.!“

„ჩვენი ექსპედიციის დასასრული, მესამე დღე.

მინდა ავღნიშნო, ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი იყო კურორტ ბახმაროზე. ჩვენ გავიარეთ ის სირთულეები (ექსტრემი) რომელიც ნებისმიერ ექსტრემალს, სათავგადასავალო ტურიზმით დაინტერესებულ პირს შეიძლება გადახდეს.

რაში მდგომარეობს ექსტრემი. პირველ დღეს, ღამით გავიარეთ დაახლოებით 7 კილომეტრამდე, ქარსა და სიცივეში, რაც ყველაზე რთულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მეორე დღეს სანახაობრივი ტურით გავაგრძელეთ უკვე კურორტის ტერიტორიაზე. მესამე დღეს კი უკუსვლით გამოვიარეთ იმდენივე.

შეიძლება ითქვას, რომ ტურის კარგად დაგეგმვის შემთხვევაში სირთულეს არ წარმოადგენს ზამთარში ბახმაროზე ვიზიტი.

მინდა განსაკუთრებულად მოთხილამურეების ყურადღება მივიქციო, ვისაც თხილამურებით დაშვება შეუძლია, დარწმუნებული ვარ ბახმაროს შესაძლებლობები დაგაინტრესებთ!

P.S. დიდ იმედს ვიტოვებ იმისას, რომ მალე ბახმაროს ვიხილავთ როგორც სამთო-სათხილამურო

კურორტს!“–წერს თავის ფეისბუქ გვერდზე სოსო ერქომაიშვილი.

„ბახმარო ზამთრის ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს და პროფესიონალებს ევროპის ქვეყნებიდან წელს პირველად უმასპინძლებს. კურორტს დეკემბერში 60 ევროპელი ტურისტი და მედიის წარმომადგენელი ეწვევა და მარტის ბოლომდე დარჩება. ისინი კურორტის სპეციფიკას, სათხილამურო ტრასებს შეისწავლიან და ამის შემდეგ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრებენ.

– რამდენიმე დღეში ინვესტორი საქართველოში ჩამოიტანს სპეციალურ ტექნიკას, რომლითაც ბახმაროში შესაძლებელი იქნება გადაადგილება. კურორტზე ჩართულია ანძა, ელექტროენერგია – ერთი სიტყვით, ინვესტორებს ყველანაირ პირობას შევუქმნით, რომ ოთხი თვის განმავლობაში კურორტის შესწავლა კარგად მოახერხონ,– ამბობს კურორტ ბახმაროს დირექტორი დავით საჯაია, რომელიც უცხოელების დასახვედრად განსაკუთრებულად ემზადება“ –წერს გაზეთი „გურია ნიესი“

ამ საშვილიშვილო საქმეში აშკარად გამოკვეთილია ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობა. კურორტ გომისმთაზე მნიშვნელოვანი პროექტები დაიწყო, ახლა კი ჯერი ბახმაროზეა.

„16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“

ალიონი. 25 ნოემბერს დაიწყო ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ლოზუნგით „ბოლო მოვუღოთ ქალთა მიმართ ძალადობას.“

ბოლო წლებში კამპანია ხორციელდება სლოგანით „სახლში მშვიდობიდან -მსოფლიოში მშვიდობამდე.“

25 ნოემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტებთან არსებულმა ქალთა საკონსულტაციო საბჭომ, ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ორგანიზაციის წევრებთან, სხვა აქტივისტებთან და მხარდამჭერებთან ერთად აქცია გამართეს. ამ დღეს აქცია კიდევ საქართველოს 8 ქალაქში –ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ფოთი, ბათუმი, სენაკი, ხობი, ზუგდიდი - გაიმართა.

– ბოლო პერიოდში გაუმჯობესდა სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობისაგან დაცვის კუთხით, განხორციელდა საკანონდებლო ცვლილებები, მეტია პასუხისმგებლობა დაეკისრა ადგილობრივ თვითმმართველობასა, არასამთავრობო სექტორს, საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, ხშირად დუმს საზოგადოება და ხელს უწყობს ძალადობას. სახელმწიფო სათანადოდ ვერ ეხმარება ძალადობის მსხვერპლს, არ ატარებს აქტიურ მუშაობას ზალადობის პრევენციისათვის, ამიტომ უნდა გაჩნდეს უკომპრომისო დამოკიდებულება ძალადობის ყოველი გამოვლენის მიმართ. –აღნიშნა ქალთა გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლელა ნაცვალაძემ.

აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგი სიორიძემ და ქალთა ორგანიზაციების აქციის მხარდაჭერა გამოხატა.

„16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ 10 დეკემბერს დასრულდება.

საზოგადოებრივი ჩართულობის ფორუმი

25 ნოემბერს „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ ორგანიზებით, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მოეწყო საზოგადოების ჩართულობის ფორუმი.

ფორუმის ფარგლებში ახალგაზრდულმა სათემო ჯგუფებმა პროექტის სამიზნე 10 სოფლიდან მოახდინეს სოფლად გამოვლენილ პრობლემებზე დაფუძნებული ვიდეოსიუჟეტების და „ონლაინ“ ადვოკატირების წარმატებული მაგალითების პრეზენტაცია.

ამავე შეხვედრაზე მოეწყო დისკუსია თემაზე: სამოქალაქო ჩართულობის არსებული გამოწვევები და საზოგადოების „ონლაინ“ ჩართულობის გაზრდის ეფექტური, ინოვაციური მექანიზმები და ამ მექანიზმების პერსპექტივები გურიაში.

შეხვედრას დაესწრნენ ახალგაზრდული სათემო ჯგუფების წევრი ახალგაზრდები პროექტის 10 სამიზნე სოფლიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლები. ფორუმი გაიმართა პროექტის „მართე სახლიდან“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან პარტნიორობით.

მინიმალისტური პოეზიის ნიმუშები

(ცხოვრების ფურცლები)

გამომცემლობა „მწიგნობარმა“ დასტამბა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, ქართული კულტურის დესპანის, პოეტ დავით შემოქმედელის პოეტური კრებული „წვეთები მიწაზე“, რომელსაც ავტორი მინიმალისტური პოეზიის ნიმუშად მიიჩნევს.

დავით ტაკიძე (შემოქმედელი) არის გალაქტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი პოეზიაში, პროზასა და თარგმანებში.

ავტორისეული ჩანაფიქრით კრებულში შეტანილია ორასამდე ამგვარი პოეტური ნიმუში, რომელთაგან უმეტესობა ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

„დედის საფლავზე
მოსულო ყვავილო,
ნიავზე რომ ირხევი,
დედის სუნთქვა მგონიხარ“...

ასე პოეტურად გამოხატავს ავტორი თავის გაუსაძლის, სევდანარევ ტკივილს...

პოეტი სხვაგან ცას შესჩივის:

„რას მეტყვი, ცაო,
უხიფათო შენაც არა ხარ,
სამხრეთის ცაზე
წუხელ ძერამ გადაიფრინა“...

შესაძლოა ერთგვარ პოეტურ ნოსტალგიად აღვიქვათ ავტორისეული განცდა:

„და ძველ სიყვარულს
ისე ტოვებდა,
როგორც ძველ ნაპირს
ტოვებდა გემი“...

პოეტის შეხედულებით, „პოეზია ან ცოტათი უნდა ჩამორჩებოდეს დროს, ან უსწრებდეს“...

ქართველი მკითხველი უაღრესი ინტერესით გაეცნობა პოეტის ახალ კრებულს.

დვაბზუელებმა გიორგობის დღეს ამ წმინდანის სახელობის ეკლესიაში ვილოცეთ

სოფელი დვაბზუ, თავისი მდიდარი წარსულით, სოფლის მკვიდრი, სახელოვანი და წარჩინებული ადამიანებით, ყოველთვის სეფე სიტყვის უფლებით სარგებლობდა მთელ ოზურგეთში..

სოფლის სასაფლაოს ეზოში ძველ დროს ნაგებ, საკმაოდ მაღალი და ვრცელდარბაზიან, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ბევრი ძლიერი და წმინდა ხატია დაბრძანებული. აქ წირვა-ლოცვებს აღავლენს მოძღვარი მამა შალვა.

გიორგობის ბრყინვალე დღესასწაულზე დვაბზუს ეკლესიაში უამრავი ადამიანი იყრის თავს და შემწეობას თხოვს დიდმოწამეს.

წლეულსაც, გიორგობის დღეს, 23 ნოემბერს ტაძარი სავსე იყო მრევლით. წირვას სხვადასხვა სოფლიდან მოსული მამები აღავლენდნენ. ზიარების შემდგომ, წირვის დასასრულს ქადაგება წარმოთქვა წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა მათემ. მის სიტყვას მრავალი გულისყურითა და სიყვარულით უსმენდა.

ტაძარში დიდი ხანია, რაც დაიწყო დარბაზის აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა დღემდე ვერ მოხერხდა უსახსრობის გამო. არადა, როგორ დაამშვენებდა ისედაც ლამაზ ეკლესიას ეს ყველაფერი.

ნანა ჯანხოთელი

„მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ“

ალიონი. პროექტის - „მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ ფარგლებში სამუშაო პროექტი „ევროპული ღირებულებები XVIII-XX ს–ის –ქართულ მწერლობაში ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში კონფერენცია გაიმართა თემაზე:„ვაჟა-ფშაველა ჩვენი თანამედროვე, პროექტის ხელმძღვანელია დვაბზუს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნათელა ღლონტი, თანამონაწილე ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი - მარინა დოლიძე. შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები და ასევე გურიის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები,

პროექტის მონაწილეები მადლობას უხდიან დამსწრე საზოგადოებას მაღალი შეფასებისათვის, ასევე ბიბლიოთეკის დირექციას შესაფერისი გარემოს უზრუნველყოფისათვის.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მრავალი საინტერესო აქტივობა.

ბახვის საბავშვო ბალში „დედობილის“ პრემიერა გაიმართა

ალიონი 24 ნოემბერს სოფელ ბახვის საბავშო ბაღში, 5-6-წლიანი ჯგუფის აღსაზრდელებმა (აღმზრდელი – მედეა ღლონტი, მუსიკის მასწავლებელი – თამილა მჭედლიშვილი) სპექტაკლით „დედობილი“ დამსწრე საზოგადოებას თავიანთი თეატრალური, ვოკალური და ქორეოგრაფიული შესაძლებლობები გააცნეს. სპექტაკლში მონაწილე ბავშვებმა გარდასახვისა და იმპროვიზაციის კარგი უნარი გამოავლინეს და დამსწრეთა აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, „დედობილი“ სრულყოფილად ჩაიწერეს ვიდეოფირზე, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

სპექტაკლი გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლეობლო ცენტრის მიერ შარშან დანერგილი შესაბამისი პროექტის ფარგლებში, რომელიც წლეულსაც წარმატებით გრძელდება.

ხსენებული ა(ა)იპ-ის მთავარმა სპეციალისტმა ნაილი გრძელიძემ მაღალი შეფასება მისცა საბავშვო ბაღის აღმზრდელთა პროფესიულ საქმიანობას.

ბახვის საბავშვო ბაღმა 23 ოქტომბერს ახალმოსახლეობა იზეიმა. როგორც ბაღის მენეჯერმა თამარ თოიძემ გვითხრა, დღეს ბახვში სკოლალამდელი ასაკის ბავშვთა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი თანამედროვე ტიპის, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ შენობაში მიმდინარეობს, რაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ზრუნვისა და ძალისხმევის შედეგია.

გურიის ჩემპიონი კვლავ გიორგი გოგოლაურია

ოზურგეთის სპორტის სასახლეში ჭადრაკში XXI გურიის 2016 წლის რეგიონალური ჩემპიონატი დასრულდა. ღონისძიებას გურიის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძე დაესწრო.

მასში მონაწილეობას იღებდნენ გურიის რეგიონის მუნიციპალური პირველობების ჩემპიონები, პრიზიორები და მაღალრეიტინგიანი მოჭადრაკეები წრიული სისტემით. I ადგილი დაიკავა გიორგი გოგოლაურმა (ოზურგეთი), II ადგილი - გივი ქორიძემ (ჩოხატაური), III ადგილი - ტარიელ ხუხუნაიშვილმა (ლანჩხუთი), IV ადგილი ნუგზარ გვარჯალაძემ (ლანჩხუთი).

ჩემპიონატის ორგანიზატორები გახლდათ გურიის ჭადრაკის ფედერაცია და ქ. ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საქართველოს პირველობა XXVIII ჩემპიონატის დასავლეთ საქართველოს მეორე ლიგის "ბ" ჯგუფი

გუნდი	თ	მ	ფ	წ	გგ	მგ	ბ-ს	ქ
"ბეთლემი" ქედა	14	11	1	2	45	15	30	34
"მერცხალი" ოზურგეთი	14	10	2	2	29	15	14	32
"სალხინო" მარტვილი	14	7	3	4	27	13	14	24
"ლესიჭინე" ჩხოროწყუ	14	6	5	3	25	16	9	23
"მაჭახელა" ხელვაჩაური	14	7	1	6	25	23	2	22
"ეგრისი" სენაკი	14	8	2	4	15	23	-8	17
"ნელა 1999" ზუგდიდი	14	2	0	12	14	48	-34	6
"კოლხეთი 2" ხობი	14	1	0	13	14	41	-27	3

P.S. ოზურგეთის „მერცხალმა“ ბოლო ტურში გათამაშების ლიდერი ქედის „ბეთლემი“ დაამარცხა, 1:0. ოზურგეთელები 32 ქულით მე-2 საფეხურს იკავებენ.

–სსფ „ლესიჭინე“ ჩხოროწყუს და ქედის „ბეთლემის“ სავარაუდოდ მატჩის საეჭვო შედეგი უნდა განიხილონ. საქმე იმაშია, რომ მატჩს მასპინძლები შეხვედრის მე-80 წუთისათვის 2:0 იგებდნენ. დარჩენილ 10 წუთში კი მათ საკუთარ 3 გოლი მიიღეს. ეს მატჩი გასაჩივრებულია და სსფ-ს კოლეგიის სხდომიდ შედეგს უნდა დაველოდოთ –გვითხრა „მერცხალის“ მთავარმა მწვრთნელმა ხარიტონ ჩხატარაშვილმა.

გრიგებული მატჩების თემა აქტუალურია ქართული ფეხბურთის სინამდვილეში. ხარაგოული „ჩხერიმელა“ საეჭვო გარიგების გამო საერთოდ მოხსნენ პირველი ლიგის გათამასებიდან. სფფ-მ ასევე დასაჯა სენაკის „ეგრისი“, სხვა გუნდები.

ოზურგეთში ფეხბურთის არსებობის 95-წლიან ისტორიას ეძღვნება

ოზურგეთში ფეხბურთის ისტორია 1922 წლიდან იწყება, მაგრამ პირველი ოფიციალური მატჩი ქ. ოზურგეთში 1925 წელს გაიმართა. ერთმანეთს ოზურგეთის ნაკრები და შემოქმედის გუნდი შეხვდნენ. ეს შეხვედრა შემოქმედელების გამარჯვებით (1:0) დამთავრდა.ზოგადად ოზურგეთში ფეხბურთის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის შემოქმედელ ტოგო დუმბაძეს.

ვეტერან ფეხბურთელთა კლუბ „ბერმუხას“ (კლუბის ხელმძღვანელი მურთაზ აბაშიძე) ინიციატივით, ამ თარიღთან დაკავშირებით ვეტერანი ფეხბურთელები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 15 სოფელში გამართავენ ამხანაგურ შეხვედრებს, რაშიც მათ მხარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა უწევს.

25 ნოემბერს პირველ მატჩში ისინი დვაბზუს სტადიონზე („დვაბზუ“ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს პირველობაზე გამოდიოდა), ამ სოფლის ვეტერან ფეხბურთელებს შეხვდნენ. შეხვედრა „ბერმუხას“ გამარჯვებით (8:7) დასრულდა.

დვაბზუს გუნდში გამოდიოდნენ: ვახტანგ, მიხეილ დოლიძეები, გელა ორაგველიძე, მიხეილ, კახა, გიორგი ღლონტები, დავით მაღულარია, ჯონი კალანდაძე, ტარიელ გორდელაძე, მერაბ სკამკოჩაიშვილი, მალხაზ შათირიშვილი, თენგიზ მურუსიძე, არჩილ ყაზაიშვილი.

მატჩს უამრავი მაყურებელი დაესწრო. შეხვედრის ორგანიზებაში თავისი წვლილი შეიტანა სოფლის რწმუნებულმა ვასილ ღლონტმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილე არჩილ ყაზაიშვილმა „ბერმუხას“ ამ ინიციატივის მხარდაჭერა გამოხატა.

მომდევნო მატჩს ვეტერანი ფეხბურთელები, 2 დეკემბერს, სოფელ ნატანებში გამართავენ.

სკანვორდი





№ 47-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მიხეილ ქვლივიძე; ძველი ქართული გაზეთი — დროება; ბილიარდის ჯოხი — კია; ამერიკის ელჩი საქართველოში — კელი; ოლქი უკრაინაში — ხერსონი; ორ ზღვას შუა ვიწრო ყელი — სრუტე; საოჯახო ნივთი — უთო; ქვედა კიდურის ნაწილი — ქუსლი; მაღალი ხარისხის ქვანახშირი –კოქსი; ა. წერეთლის სოფელი — სხვიტორი; ... ჰემინგუეი — ერნესტ; ვოლგოგრადის ძველი სახელი — ცარიცინი; ელექტროხელსაწყო — რელე; რუბეროიდი — ტოლი; მწვანილი — ცერეცო; რხევა — ვიბრაცია; ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში — ბრაზილია; პრეზიდენტად კურთხევა — ინაუგურაცია; მხარე საქართველოში — გურია; ქართული ფილმი — მანანა; მწერალი ... მეგრელი — დუტუ; რეპტილია — ნიანგი; სუბტროპიკული მცენარე — ჩაი; სახელმწიფო ევროპაში — მალტა; სალი კლდე — ტინი; ჩქარის ანტიპოდი — ნელი; პატარა მდინარე — ღელე; სამაგიდო სპორტული თამაში — ჭადრაკი; მოგება ნარდში — ოინი; კავშირგაბმულობის საშუალება — რაცია; ძილისპირული — იავნანა; გამზრდელი — გადია; ცელქი — ონავარი.

გურულთა და გურიელთა წვლილი 1877-1878 წლების რუს-ოსმალოს ომში ქვემო გურიის და აჭარის დედა სამშობლოსათვის შემოერთების საქმეში

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №47, 21 ნოემბერი, 2016წ.

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

იმნანად,ოზურგეთის მაზრას და ოსმალოს გურიასთან რუსეთ-თურქეთის საზღვრო ხაზი შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოსთან გადიოდა. ამ დროს გავრცელებულა ხმა, რომ თითქოს სადემარკაციო სამუშაოების დროს შეცდომით ჭოროხის მაგივრად საზღვრად მდინარე ჩოლოქი იყო მიჩნეული, რუსი ოფიცრების მიერ ამ მდინარეების სახელწოდებათა ერთმანეთში არევის წყალობით ამ ხმების გამო გაბრიელ ყაზბეგი აღნიშნავდა:

,,ადრიანოპოლის ხელშეკრულების ტექსტში (1889 წ.) სასაზღვო პუნქტად კონკრეტულად მითითებული იყო (შეკვეთილის) წმინდა ნიკოლოზის ნავმისადგომი, რომელიც მდინარე ჩოლოქის შესართავთან მდებარეობდა, ამიტომ ჩოლოქი-ჭოროხის შეცდომით გაიგივების ვერსია, საფუძველს მოკლებული იყო, მაგრამ ამასთანავე გაბრიელ ყაზბეგს პლატონ იოსელიანისგან გაგონილი ჰქონდა მსგავსი ფაქტი:

ადრიანოპოლის ზავის დადების შემდეგ, პასკევიჩთან ერთ-ერთ მიღებაზე, გენერალს უთხოვია, ქართველების ეთნიკური საზღვრის ჩვენება რუკაზე, როდესაც პლატონ იოსელიანს მდინარე ჭოროხის შუა წელი დაუსახელებია, პასკევიჩს აღელვებული ხმით უთქვამს ,,სამწუხაროა რომ ეს არ ვიცოდიო''.

სერგეი მესხის ზემოხსენებულმა პუბლიკაციამ ''ოსმალოს ქართველთა'' შესახებ, აღელვა ქართული საზოგადოებრივი აზრი, მალე ,,დროების'' ფურცლებზე გამოქვეყნდა მთელი სერიალი ,,ოსმალოს ქართველი'' ძმების მიმართ ცხოველი ინტერესის გამომხატველი წერილებისა.

1875 წელს ბესარიონ ჯაფარიძე წერდა: ,,მთელს ოსმალოს საქართველოში 300 000 -ზე მეტი მცხოვრები ითვლება, რომლებიც ყოფილან წმინდა ქართველები ენით, სარწმუნოებით, გულითა და საქმით. ჩვენი საქართველო იმდენი არ არის, ამდენი (მიმმით დასახლებული ქვეყანა) არაფრად ჩააგდოს და არც ისე დაცემულა ჩვენი ნაციონალური გრძნობა, რომ ამდენი მიმმეები დავივიწყოთ. მთელი მათი მდგომარეობის გაგება ყოველთვის სასისამოვნო არის ჩვენთვის, განსაკუთრებით ახლა, ოსმალო დღეს თუ ხვალ დაიშლება და ვინ იცის, რა ბედი მოელის ჩვენ თანამოძმეებს.

1875 წელს დაჰკრა ოსმალოს დაწიოკების საათმა და საგანგაშო ზარმა, მსგავსად ოსმალოს ქართველობას, ,,ბრწყინვალე პორტას'' მფლობელობაში მყოფმა ბალკანელმა სლავებმა, რომელიც რუსთა ხელმწიფე ,,უმცროსი ძმების'' სახელწოდებით მოიხსენიებდა, იარაღი აისხა თურქთა ასიმიდატორული რეჟიმის დასაქცევად. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ორ სლვურ პროვინციაში ანტითურქულმა ავკანყებამ იფეთქა. ავკანყებამ ოსმალო კიროების ქვეშ მოქცეული მთელი ბალკანეთი მოიცვა. მთელი მოწინავე კაცობრობა,განსაკუთრებით კი ოსმალთა მიერ მრავალგზის ტანჯული ხალხი ფართო თანაგრძნობით შეხვდა ბალკანელ სლავთა საბრძოლო იარაღის გაელვებას თურქულ სისხლში.

,,ბალკანეთში რუს და ფრანგ კორესპონდენტებს უნახავთ მრავალი ქართველი, რომელიც იარაღით ხელში იცავდა მოძმეთა ინტერესებს. მათ შორის იყვნენ 60 წლის მოხუცებულიც და სრულიად ახალგაზრდა ვოლონტიერები.

სისხლისმღვრელ ბრძოლაში თავი ისახელს: ალექსანდრე ყაზბეგმა, თავადმა ცომაიამ, თავადმა ჭილიაშვილმა ბულგარეთის მესამე ლაშქრის მომავალმა წინამძღოლმა.

ბალკანელ სლავებს ,,უმცროს ძმებს'' თანაგრძნობა გამოუცხადა ბალკანეთში მკვიდრად ფეხის მოკიდების მსურველმა. იმპერატორ ალექსანდრე მეორის რუსეთში, ჰაერში დენთის მბაფრი სუნი დატრიალდა, რუსეთ-ოსმალოს ახალი ომის კონტურები მთელი სიმკვეთრით მოიხაზა. ქრისტიანი ქართველები ოსმალოს გურიის გამოსახსნელად იარაღს ისხამდნენ. მოვლენათა მსვლელობის ცენტრში ისე როგორც 1853-1856 წლები რუსეთ-თურქეთის ომში, ახლაც ოზურგეთის მაზრა-გურულები და გურიელები აღმოჩნდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით სერგი მესხი იხესენებდა.

,,...ჩვენს ქალაქში ამჟამად შეკრებილნი არიან, კავკასიის უწარჩინებულესი გენერლები და გუბერნიის მარშლები... მოლაპარაკება აქვთ იმაზე, თუ როგორ უნდა (შეიკრიბონ ქართული სახალხო ლაშქარი) მილიცია, როგორი წესები, რაგვარი იარაღი უნდა იყოს მათში და რა შემწეობის მიცემა შეუძლია ამ მილიციას, ომიანობის დროს.

ეს უკანასკნელი საგანი ახლა ყველაზე უფრო საყურადღებოა ჩვენთვის, საყურადღებოა იმიტომ, რომ აქაურმა სამხედრო ჩეკამ გადაწყვიტა, რომ (სახალხო ლაშქარი) მილიცია უეჭველად უნდა მოიკრიბოს და დაიარაღდესო; ზოგი ნაწილი ამ მილიციის ბრძოლის ველზე უნდა გავიდესო და ზოგი კი ადგილობრივ უნდა დარჩეს ყარაულადო.

მილიციას უეჭველად თოფებს დაურიგებენ და სამხედრო ხელობის სწავლებას დაიწყებენ.

შემდეგ როგორ მოიქცევიან ისინი, რა კაცობას და ვაჟკაცობას გამოიჩენენ, ეს იმათ ქართველობაზე, იმათ გამჭრიახობაზე იქნება დამოკიდებული. ამთავითვე ჩვენც მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლიან, რომ ქართული ქართველობას, თავის სამშობლოს სიკეთისა და სარგებლობას არ დაივიწყებს ამ საზოგადო შეტაკებისა და გაჭირვების დროს.

ომის გამმაფრებული ალმური მისი მოსალოდნელი საშიშროებანი თანდათანობით მიიწევდა ოზურგეთისკენ, დაიწყო წინასწარი სამზადისი. ყველას მოსალოდნელი ომი აღშფოთებდა და ახალისებდა კიდეც. დედაქალაქში შემაშფოთებელი ხმები დაირხა:

,,დედაქალაქში წერდა გაზ. ,,დროება''...გავრცელებულია ხმა, რომ ,,ოსმალეთის და ინგლისის ჯარი, სამოცი ათასი კაცი შემოქმედში და ოზურგეთში გადმოვიდაო, სუყველას ახალი სისტემის მსწრაფმსროლელი თოფები აქვთ... რომ ომი შავი ზღვის ნაპირას კიდეც დაიწყოვო.

რასაკვირველი ეს ახალი ხმებია, უსაფუძვლო უქმი ხმები, დაფეთებულილ ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ ნამდვილი კი ის არის რომ ომიანობის გამოცხადებას ახლა ეკლიანი დღე-დღეზე მოვლიან.

ამ მოლოდინს ახლა უფრო მომეტებული საფუძველი აქვს, ვიდრე ჰქონდა, ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში. აი რა მდგომარეობაშია ამჟამად ომიანობის საქმე.

1887 წლის 12 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ქალაქ კიშინოვში ხელი მოაწერა ოსმალეთთან ომის გამოცხადების მანიფესტს. ამ მანიფესტის ძალისხმევის გარშემო ქართველი ხალხი თავის აღფრთოვანებას ვეღარ ჰფარავდა. ქართული საზოგადოებრივი აზრის ამ გულითად გამოვლინებას გაზ. ,,დროება''საქვეყნოდ აღიარებდა:

,,ძლივს! როგორც იყო ველირსეთ! დიდხანს კი მოველოდით, დიდხანს კი გვიცემდა გული, რომ გადაწყვეტილიყო შეგვეტყო: ომი იქნებოდა თუ მშვიდობაინობა! ბოლოს გადაწყდა: ომია.

ომის გამოცხადებისთანავე ოზურგეთის ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მდინარე ჩოლოქის დაღმართზე შეიარაღებული ხმელეთის დელიბაშები'' იყრიდა თავს, მათი უპირველესი მიზანი ოზურგეთის ერთი დაკვრით აღება იყო. ქალაქის მოსახლეობა გარკვეული სიძნელის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ქედს არ იხრიდა. ჩოლოქს მიღმა მიიწევდა თანამოძმეთა გამოსახსნელად.

,,ძნელი რამ არის -იუწყებოდა ქართული პერიოდული პრესა,- ძნელია განსაკუთრებით იმ ქვეყნისათვის სადაც ბრძოლა წყდება, რომელიც (შემდგომ) ბრძოლის ველად ხდება.

ჯერ საკუთარი ჯარის ჩაყენებაც დაეტყობა იმას. მაგრამ უბედურება მაშინ არის, თუ, ვსთქვათ საკუთარმა ჯარმა რომელსამე სამხედრო სტარტეგიულის განზრახვით ამ ადგილებს თავი დაანება და მტერს დაუთმო. უძლურ მოხუცებულებს, დედაკაცებსა და ყმაწვილებს კარგი დღე არ დაადგებათ. მცხოვრებლებს მოელის საკუთარი სახლ-კარის განადგურება და გადაწვა. ნამუშევრის გაოხრება, პირუტყვის დაღუპვა, ტყის ამოკაფვა.

ყველა ეს ნათლად წარმოგვიდგება ჩვენს თვალწინ, როცა 12 აპრილს სიონის ტაძარში ვნახეთ რამდენიმე მოხუცებული მამა და დედაკაცები, რომელიც ცხარის ცრემლით სტიროდნენ, როცა, იმათ ომის გამოცხადება და დაწყება შეიტყვეს.

ამ მომავალ საზარელ ომში ჩვენი როლი და მოვალეობა ერთობ მძიმეა, ერთობ ჩასფიქრებელია, ხუთი ათას კაცამდე არიან მარტო (სახალხო მოლაშქრენი) მილიციონერები ჩვენის მხრით გაყვანილი ბრძოლის ველზე; ისინი რაღა თქმა უნდა იომებენ, დანარჩენი ხალხი კი, სამხედრო კანონების ძალით...ბრძოლაში ვერ გაერევა. დაუიარაღებელ ხალხს უფლება არა აქვს ხელი განძრიოს მტრის წინააღმდეგ, ის რჩება შორიდამ, ან ახლოდან მაყურებელი მოწინააღმდეგეთ ბრძოლისა და სისხლის ღვრისა.

ჩვენი ხალხიც ამ საფუძველზე უნდა დადგეს, ამ კანონს უნდა დაემორჩილოს, ამის გადაცდენა ხეირს არ დაგვაყრის, ჩვენი სამხედრო მდგომარეობა ამას მოითხოვს, ამას მოითხოვს აგრეთვე ჩვენის მხრივ კეთილ-გონივრული პოლიტიკური მოსაზრება, რასაც გთხოვენ, ის მივცეთ, მომეტებული ერთგულება ხშირად მომეტებულ მტრობაზედ უარესია. წინ დაუხედავად ჩაჭრა იქ, სადაც ჩვენ საჭირო არა ვართ, იქ საცა არ გვთხოვენ, მოუფიქრებლად თავის აღერა და კუდაბზიკურად გალაშქრება, ამისთანა მძიმე საქმეში, რაც კრებას არ მოგვიტანს, ხეირს არ დაგვაყრის. გვჯერავს, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში, ჩვენი მხნეობით გამორჩეული თავად-აზნაურობა და საზოგადოდ ხალხი, ახლა მარტო თავის მხნეობით არ გამოიჩენს თავს.

ისე, როგორც წინა პერიოდის ,,აღმოსავლურ ომებში'' ცარიზმი თავის სასარგებლოდ ქართული სისხლის უხვად გაღებას, არც ამ ომში ერიდებოდა. ომამდე გაცილებით ადრე დაიწყო ქართული სახალხო ლაშქრის-მილიციის ფორმირება. ,,მთავარსარდლობას უკვე შესაძლებლად მიაჩნია მილიციის ნაწილების დაქვემდებარება რეგულარული არმიების დიდი შენაერთებისა, ბრიგადებისა და დივიზიებისადმი. მისი აზრით ეს უნდა ყოფილიყო დასაწყისი, რომელზედაც აშენდებოდა მომავალი სამხედრო სავალდებულო სამსახური.

მილიციის შეკრება დაიწყო ქალაქ ოზურგეთში. იარაღში ჩასიდაღებული, ოსმალოსთან მომავალი ხმალკვეთებისადმი გულანთებული ჩაუქი ჩაქურონები მასიურად ეწრებოდნენ სახალხო ლაშქარში. ამ მხრივ შექმნილმა ვითარებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

,, '' 14 წლის ახალგაზრდიდან 60 წლის მოხუცამდე ყველა ითხოვდა სახალხო ლაშქარში ჩაწერას. მამაკაცთა მოსახლეობის 20% ლაშქარში ჩაწერის მსურველი აღმოჩნდა.

ომის მსვლელობის ჟამს სულ საქართველოს მოსახლეობიდან 2900 ცხენოსანი და 85 ქვეითი ასეული, რომლებიც რეგულარული ჯარის ნაწილების 108 შენაერთში იყვნენ გაერთიანებულნი. მათი საერთო რიცხვი შეადგენდა 25 200 ცხენოსანს და 14 000 ქვეითს, ამას ზედ ერთვოდა შეკრებისათვის გარკვეული რიცხვი,დაახლოებით 15 000 კაცი, რაც საერთო ჯამში 42 000 მოლაშქრეს აღემატებოდა. რაც ტოლფასი იყო მოქმედი რეგულარული კორპუსის ჯარების რიცხვისა.

ომის წარმოება დუნაისა და კავკასიის ფრონტებზე მიმდინარეობდა. შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლებად ხელმწიფე იმპერატორის ბიძაშვილები მოგვევლინენ: ბალკანეთის ფრონტზე; ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, კავკასიის ფრონტზე: მიხეილ ნიკოლოზის ძე. კავკასიის ფრონტის ასპარეზი ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა:



პირველსა და ძირითად ნაწილს სათავეში ედგა გენერალ ლეიტენატი ლორის მელიქოვი, შტაბის უფროსი-გენერალ მაიორი დუხოვსკი. კორპუსი 50 ათას მებრძოლს მოითვლიდა, აქედან ახალციხის რაზმი გენერალ მაიორ დეველის მეთაურობით 14 000 მებრძოლი და 36 ქვემეხი.

ერევნის რაზმის გენერალ მაიორ ტერ-გუკასოვის მეთაურობით 10 000 მებრძოლი და 36 ქვემეხი.

ძირითადი ძალები ლორის მელიქოვის მეთაურობით - 24500 მებრძოლი და 92 ქვემეხი.

ლორისმელიქოვის კოროპუსი დისლოცირებული იყო ალექსანდროპოლში.

მეორე საბრძოლო კორპუსს შეადგენდა ენ. ზღვისპირეთის, ანუ ე.წ. რიონის მხარე.

რიონის მხარის კორპუსის მთავარსარდალი: გენერალ ლეინტენატი ოკლობაიო.

კორპუსი მოითვლიდა 51600 მებრძოლსა და 20 ქვემეხ, ამ შეიარაღებულ ძალებიდან უშუალოდ საბრძოლველად გამოყოფილი იქნა ,,ოზურგეთის რაზმი''25 000 მებრძოლითა და ორი ბატარეით. რაზმის სათავეში თავად ოკლობაიო ედგა. შტაბის უფროსად დანიშნული იქნა გენერალ-მაიორი გაბრიელ ყაზბეგი.

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

პაატა თხილაიშვილის გახსენება



ძმაო პაატა!

რა უცებ გაირბინა უშენობის ორმა თვემ. ყველა გაოგნებული დაგვტოვე და წახვედი გზამართალს. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო მტკივნეულია შენი მოულოდნელი წასვლით გამოწვეული ტკივილი. წლეულს, პირველად მრავალი წლის განმავლობაში, ტელეფონში ვეღარ გავიგონებ შენს კაცურ ხმას, ,,მძახალო, გილოცავ დაბადების დღესო''. შენ ხომ მოლოცვას ვერავინ დაგასწრებდა. მე კი იძულებული გამხადე, 27 ნოემბერს ამოვიდე და შენს საფლავზე მოგილოცო დაბადების დღე. მე ხომ შენზე ორი წლით უფროსი ვარ და დასახელებულ რიცხვებში ჩვენ ხომ 55 წელი შეგვისრულდა.

შენ ლამაზი პიროვნება იყავი არა მარტო გარეგნული შესახედაობით, არამედ შინაგანი, სულიერი სამყაროთი, სიკეთის თესვით, მეგობრობით, მეზობლობით, მოყვრობით, შენი ჯანსაღი იუმორითა და კაცური პურმარილით. ამ ქვეყნად სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე მწარე არაფერი ყოფილა. შენ იყავი კაცი, რომელიც ძალიან დააკლდი საყვარელ ოჯახს, ნათესავებს, თანასოფლელებს, მეზობლებს, მეგობრებს. მე კი, ჩემო პაატა, ერთი დამრჩენია, ღმერთს ვთხოვო, რომ ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი და უბორიტო სული. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა კი მარადიული სასუფეველი გაგინათოს.

გულისტკივილით,
გია ტულუში.

„ჰორიზონტი“ ფართო დიაპაზონით

აირჩიე პროფესია, შეიქმენი მომავალი

მომავალი პროფესიის შექმნასა და დასაქმებაში დაგეხმარებათ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“, სადაც უამრავი საგანმანათლებლო პროგრამაა საუკეთესო დარგების მიხედვით. კოლეჯში ასწავლიან მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და პროფესიონალი სპეციალისტები. აქვთ ბრწყინვალე სასწავლო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, უახლესი სასწავლო პროგრამები, სპეციალური ინვენტარი და შესაბამისი ლიტერატურა.

პირადად ჩემთვის მეტად საჭირო იყო ტრაქტორისტ-მექანიზატორის სპეციალობა, რომელიც წარჩინებით დავამთავრე. ახლა თავისუფლად შემიძლია განვახორციელო პროექტ „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეობით მოპოვებული გრანტი, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დასაქმებისკენ.

კურსდამთავრებულთა სახელით, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კოლეჯის დირექტორს, ქალბატონ ნანა ჯოლიას და მის შესანიშნავ კოლექტივს მეტად საჭირო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის.

ბიძინა კვაჭანტირაძე.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს ზიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

მიხეილ სამხარაძის ტურნირზე

22-23 ნოემბერს ლანჩხუთში ჩატარდა მიხეილ სამხარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში ორ ასაკობრივ ჯგუფში. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი. გურამ მაჭარაშვილის ჯგუფიდან 20-05-2006 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ; 46კგ წ.კ.-ში ნოდარ ზედგენიძე, 53კგ ლუკა ღლონტი,. მეორე ადგილზე გავიდნენ 38კგ ნიკა ჭანკვეტაძე და 53კგ გუჯა ტყემალაძე, მესამე ადგილი დაიკავა 26კგ გიორგი ბერიძემ.

2003-2004 წ. დ. შორის მესამე ადგილზე გავიდნენ 38კგ რამაზ მგელაძე, 46კგ გიორგი ბერიძე და 50კგ გოჩა გორგაძე.

კახა აბაშიძის ჯგუფიდან 2005-2006 წ. დ .შორის 26კგ წ.კ.-ში ჩემპიონი გახდა ლუკა ფიფია, მეორე ადგილი დაიკავა ლუკა კილაძემ, მესამე ადგილზე გავიდა აჩი ქათამაძე, . 29კგ წ.კ.-ში ჩემპიონი გახდა ლუკა ჯავახაძე, მესამე ადგილზე გავიდა ლუკა ჯანელიძე, 32კგ წ.კ.-ში ჩემპიონი გახდა ლუკა ბენდელიანი, 42 კგწ.კ.-ში მესამე ადგილი დაიკავა ნიკა დოლიძემ.

2003-2004 წ.დ.შორის მესამე ადგილი დაიკავა 38კგ დათო ურუშაძემ, 42კგ ბექა ქათამაძემ და 50კგ ნიკა შიუკაშვილმა.

თენგიზ მუჯირის ჯგუფიდან მესამე ადგილზე გავიდა 29კგ იური ჟღენტი.

მორიგი გინესის რეკორდი ოზურგეთობაზე

გოდერძი მახარაძე: ეს რეკორდი ჩემი უახლოესი მეგობრის დათო ფირანიშვილის ხსოვნას მივუძღვენი

ნუკრი ნიკოლაიშვილი



23 ნოემბერს, გიორგობისა და ოზურგეთობის დღესასწაულზე, ქალაქ ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ მორიგი გინესის 45-ე რეკორდი დაამყარა გოდერძი მახარაძემ.

ოზურგეთელმა რეკორდსმენმა ტრიალით ბურთის კენწვლაში თავისივე ადრინდელი რეკორდი გაუუმჯობესა - მან 151 ბრუნი (ტრიალი) 8 წუთსა და 21 წამში შეასრულა (ადრინდელი 110 ბრუნს შეადგენდა 10 წუთში).

ოზურგეთელმა თავისი იმდღევანდელი მიღწევა თავისი მეგობრის, საწუთროდან ნაადრევად წასული ფეხბურთელის, - დათო ფირანიშვილის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც სხვადასხვა წლებში წარმატებით ასპარეზობდა ტყიბულის „მეშახტეში“, ხაშურის „ივერიაში“, ხობის „კოლხეთსა“ და სხვა გუნდებში.

გოდერძი მახარაძემ გენესის პირველი რეკორდი 1996 წელს დაამყარა. იგი დღეს 45 მსოფლიო (გენესის) რეკორდის ავტორია.

გასული წლის 5 მაისს, კურორტ გომისმთაზე, ზღვის დონიდან 2250 მეტრზე, გოდერძი მახარაძემ 43-ე რეკორდი დაამყარა. მან ბურთი თავით 9 წუთსა და 37 წამში 1750-ჯერ აკენწლა.

იმავე წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გინესის 44-ე რეკორდი დაამყარა. მან გაუმჯობესა 2011 წლის რეკორდი, თავით ბურთის ცალ ფეხზე მონაცვლეობით კენწვლის მისეული შედეგი (1200) და ამჯერად თავით ბურთი 1381-ჯერ აკენწლა.

გოდერძი მახარაძე 43 წლისაა. მძლეოსანი, ფეხბურთელი, (ხობის „კოლხეთი,“ ნოვოროსიისკის „მინატეპი“) ფეხბურთის ბურთის ფლობის დიდოსტატი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მძლეოსნურ კროსში, მსოფლიოს (გინესის) მრავალგზის რეკორდსმენი. არის ფაზისის საერო აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, სხვა მრავალი ტიტულისა და ჯილდოს მფლობელი.

თეიმურაზ აფხაზავას სახელობის ტურნირზე

16-18 ნოემბერს ქ. ქუთაისში ჩატარდა ორგზის მსოფლიო ჩემპიონის თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში. მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების, ასევე რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები.

აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან 2002-2004 წლებში დაბადებულთა შორის 85კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა ცოტნე ცინცაძემ, 1999-2001 წ.დ.შორის 46კგ წ.კ.-ში მეორე ადგილი დაიკავა გიორგი თოხაძემ.

მწვრთნელები მადლობას უხდიან ქ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს ბატონ გოჩა კვანტალიანს მხარდაჭერისათვის.

7 დღის ამინდის პროგნოზი

28 ნოემბერი	29 ნოემბერი	30 ნოემბერი	1 დეკემბერი	2 დეკემბერი	3 დეკემბერი	4 დეკემბერი
მზე, +5+16	მზე, ღრუბელი +6+14	წვიმა, +2+9	მცირე წვიმა, -4+6	წვიმა თოვლით 0+5	თოვლი +2+9	თოვლი +2+6
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა